აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 17

04 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, ლევან გაბრიჩიძე, მამუკა ჯაში, დავით რობაქიძე, ავთანდილ ჩახვაძე, ირაკლი გვარამია და ანზორ ბაღათურია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრის შესახებ.

(მომხ: თ. შარმანაშვილი)

1. განკარგულება
საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრის შესახებ.

მოისმინეს: მომხსენებელმა, თამაზ შარმანაშვილმა, კომისიის წევრებს გააცნო ერთიანი „ნაციონალური მოძრაობის“ და „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობის“ მიერ უსკო-ში შემოტანილი განცხადებები საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრის შესახებ და აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის განსაზღვრა ხდება არჩევნებამდე 30 დღით ადრე, რის შესახებაც შესაბამისი პროცედურები უნდა ჩატარდეს უსკო-ს შენობაში სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით. მან აღნიშნა, რომ პოლიტიკურმა გაერთიანებებმა, რომლებმაც საპარლამენტო არჩევნებში პროპორციული წესით ყველაზე მეტი ხმა მიიღო, განცხადებით უნდა მომართონ უსკო-ს - იტოვებენ თუ არა იმავე ნომერს აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევებისას. ასევე აღნიშნა, რომ საპარლამენტო არჩევენის შედეგების მიხედვით უსკო-ში რეგისტრირებული პარტიებიდან ეს უფლება აქვთ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“. აღნიშნული პოლიტიკური გაერთიანებებიდან უმაღლეს საარჩევნო კომისიას უკვე მომართეს განცხადებით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობამ“, და „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობამ“, რომლებიც იტოვებენ იგივე ნომერს, რაც საპარლამენტო არჩევნებზე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა №5) და (ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა №10), რის შემდეგაც კომისიის თავმჯდომარემ კომისიას გააცნო წილისყრის პროცედურა და მიმართა რეგისტრირებული პარტიების წარმომადგენლებს მონაწილეობა მიეღოთ აღნიშნულ წილისყრის პროცედურაში. წილისყრის შედეგად უსკოში რეგისტრირებულ პოლიტიკურ გაერთიანებებს მიენიჭათ შემდეგი ნომრები: №1 „საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია“; №2 „ქართული დასი“; №3 „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“; №4 „ჩვენ თვითონ“; №6 „საქართველოს კონსერვატიული პარტია“; №7 “ქართული პოლიტიკა“. რაც

შეეხება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქრისტიან დემოკრატიულ მოძრაობას“. მათ გამოიყენეს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული უფლება და დაიტოვეს საპარლამენტო არჩევნებზე მინიჭებული ნომერი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ №5, ხოლო „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“ №!0.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომრის წილისყრის შედეგების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 13;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას მონაწილეობდა კომისიის 13 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 99-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 52-ე მუხლის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებში მონაწილე სუბიექტებს (პარტიებს) განესაზღვროს შემდეგი რიგითი ნომრები:

№1 საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია (სეკპ);
№2 პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“;
№3 პოლიტიკური გაერთიანება „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ (მგს);
№4 პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენ თვითონ“;
№5 პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;
№6 საქართველოს კონსერვატიული პარტია;
№7 პოლიტიკური გაერთიანება „ქართული პოლიტიკა“;
№10 პოლიტიკური გაერთიანება „გიორგი თარგამაძე-ქრისტიან დემოკარტები“.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა საკითხი არ განხილულა

კომისიის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია